ხელშეკრულება **N 1-6**
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
CpV:22200000

თბილისი 18 02 2015 წელი

ერთი მხრივ, ა.(ა.)ი.პ "ცისკარი-1852" (ს/კ 404485696) შემდეგში, როგორც "გამყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის (ჟურნალის მთავარი რედაქტორის) ამირან გომართელის (პ/ნ 01008006498) სახით, ხოლო, მეორე მხრივ, სსიპ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ლემშვანიერას საჯარო სკოლა, (ს/კ 226530126) შემდეგში მოხსენიებული როგორც "მყიდველი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გულნაზი ჭელიძის (პ/ნ 12001030029) სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე "გამყიდველი" ყიდის, ხოლო "მყიდველი" ყიდულობს გამყიდველის საკუთრებაში არსებული ჟურნალის "ცისკარი-1852" 12 (წლიურ) ნომერს.

2. მიწოდების წესი

2.1 "გამყიდველს" შეუძლია ისარგებლოს შუამავალი ფიზიკური ან / და იურიდიული პირის მომსახურებით საქონლის "მყიდველისთვის" მიწოდებისთვის.
2.2 საქონლის მიწოდების ადგილად განსაზღვრულია ქ.გარდაბნის საგანმანათლებლო რესურსცენტრი.
2.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდებისას უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების მიწოდება.
2.4."მყიდველი" უფლებამოსილია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/ტექნიკური კონტროლი, რისთისაც გამოყოფს პირს, რომელიც უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება. ხოლო "მიმწოდებელი" (შუამავალი ფიზიკური/იურიდიული პირი) ვალდებულია ხელი შეუწყოს მას ინსპექტირების ჩატარების დროს.
2.5. "მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "მყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

3. ანგარიშსწორების წესი

3.1 ჟურნალის 12 ნომრის ღირებულება საერთო ჯამში შეადგენს 48 (ორმოცდარვა) ლარს.

3.2 ანგარისშწორება განხორციელდება ყოველი კვარტლის ბოლოს, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში.

3.3. გადახდა უნდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში (ლარში).

4. მხარეთა ურთიერთვალდებულება და პასუხისმგებლობა

4.1 "მყიდველი" უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს "მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ყოველი ახალი ნომრის გამოსვლიდან 15 სამუშაო დღის ვადიდან ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.
4.2. "გამყიდველი" უფლებამოსილია, ანგარიშფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან (ჩაბარებიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში დააკისროს "მყიდველს" პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დროულად გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.
4.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
4.4. მე–4 მუხლის 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ დგება, თუ კი ვალდებულების შეუსრულებლობა დადგა დაუძლეველი ძალის, მესამე პირთა ბრალეულობით, ხელშეკრულების მხარეთა მიერ საქონლის (გადასახადის) განზრახ მიუღებლობის ანდა სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა და შეწყვეტა

5.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების დამატების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
5.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
5.3საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
5.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
5.5 მხარე ვალდებულია 6,4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
5.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს, მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

7. სხვა პირობები

7.1 მხარეები ვალდებულნი არიან სრულად აუნაზღაურონ ერთმანეთს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არასრული შესრულებით მიყენებული ზიანი.

7.2 მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადავო საკითხს განიხილავს სასამართლო.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

8. მხარეთა რეკვიზიტები

ა.(ა.)ი.პ. "ცისკარი 1852"
ს/კ: **404485696**
მის.: ქ. თბილისი, ხიდის ქ. #1
მომსახურე ბანკი: სს. ლიბერთი ბანკი
ა/ა: **GE53LB0115145961724002**

მთავარი რედაქტორი:

ამირან გომართელი

სსიპ.ლემშვენიერას
საჯარო სკოლა
ს/კ:226530126
მის.: გარდაბანი , ლემშვენიერა
მომსახურე ბანკი: ლიბერთი ბანკი
ა/ა:GE06LB0121112154384000

დირექტორი: გულნაზი ჭელიძე